ფრე აუტსაიდერთან

გუშინ ტაშკენტში თბილისის დინამოელებს ჩვენი ქვეყნის პირველობაზე ფეხბურთში მატჩი ჰქონდათ ადგილობრივ “პახტაკორთან”, რომელიც გათამაშების ცხრილში უკანასკნელ ადგილზე იმყოფება. მართალია, პირველ წარმატებას თბილისელებმა მიაღწიეს, როცა თბილისელთა ერთ-ერთი შეტევა მეტრეველის მიერ კარის აღებით დამთავრდა, მაგრამ შემდეგში მათ ეს უპირატესობა ვერ შეინარჩუნეს. ტაშკენტელმა ფეხბურთელებმა კი ჯერ გაათანაბრეს ანგარიში, ხოლო შემდეგ დაწინაურდნენ კიდეც.

დადგნენ რა აშკარა დამარცხების საშიშროების წინაშე, თბილისის დინამოელებმა გარდატეხა შეიტანეს თამაშში. შეხვედრის დამთავრებამდე 11 წუთით ადრე კალოევმა გაათანაბრა ანგარიში. მატჩის საბოლოო შედეგია 2:2.

“ლელო”, 29 სექტემბერი, 1963 წ.